საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

14/09/2026

MES 2 26 0001150822

გადაწყვეტილება

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, "ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა" და "სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

1.გადაწყვეტილებისმიღებისსამართლებრივისაფუძვლები

1.1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების“ აკრედიტაციის დებულების (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.2. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.3. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 13 ივნისის №127 გადაწყვეტილებით.

2.2. “აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2026 წლის 17 თებერვლის№177773 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2025 წლის 19 დეკემბრის №01-18/394 (ცენტრში რეგისტრაციის - №1811919) წერილით წარმოდგენილი "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეფასების განხორციელება.
2.3. საბჭომ გადაწყვეტილება მიიღო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე.

შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3.სარეზოლუციო ნაწილი

აკრედიტაციის დებულების 27^2- ემუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტრის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება "სამოსის დიზაინის" სამაგისტრო საგანმა ნათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით.
4. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
5. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 14 სექტემბრის №1190812 სხდომის ოქმის №7 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
6. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 14 სექტემბერს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამოსის დიზაინი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13/06/2019; N127
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამოსის დიზაინი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	**I ნაწილი -** დიზაინის მაგისტრი, **II ნაწილი -** კვლევის მაგისტრი მოდის დიზაინში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0212 მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/ სამრეწველო დიზაინი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	I ნაწილი - 60 II ნაწილი - 60
14	განხორციელების ადგილი	

		ზ. გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32 ქ. ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	14/09/2026
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31/12/2030

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე